22 ნოემბერს მელბურნში გაიხსნება ოლიმპიური თამაშები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-13 წელი

№ 94 (1004) | კვირა, 18 ნოემბერი, 1956 წ. | ფასი 30 კაპ.

## ოლიმპიური სპორტსმენები საქართველოდან


გ. კარტოზია


ვ. ბალავაძე


ნ. დვალიშვილი


ნ. (გვახარია)

# ოლიმპიური ჩირაღდანი უახლოვდება მელბურნს

ოლიმპის მთაზე აინთო ჩირაღდანი, რომელმაც გადალახა მრავალი ზღვა, ოკეანე, ავსტრალიის უდაბური მიდამოები და 22 ნოემბერს ქალაქ მელბურნის ცენტრალურ სტადიონზე კოცონად აგიზგიზდება — დაიწყება XVI მსოფლიო ოლიმპიური თამაშები, დაიწყება საუკეთესოთა შორის საუკეთესოების შეჯიბრება, ასპარეზი დარჩება მას, ვინც XV ოლიმპიადიდან განვლილი დრო ნაყოფიერ წვრთნაში გაატარა, აითვისა და გააღრმავა წვრთნის ახალი ტექნიკა.

მელბურნი! ამ ქალაქის სახელი და მისი ყველა წვრილმანი უკვე დიდი ხანია ცნობილია საბჭოთა სპორტსმენებისათვის. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ მელბურნი მზადაა მიიღოს სპორტსმენები. იქ აშენდა ახალი დარბაზები, რეკონსტრუირებულ იქნა ცენტრალური სტადიონი, ქალაქგარეთ ვეებერთელა ტერიტორიაზე გადაიჭიმა ოლიმპიური სოფელი. მელბურნი მზად არის! მელბურნში უკვე ჩავიდნენ სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები და შეუდგნენ დაძაბულ წვრთნას.

ოლიმპიურ თამაშებს დასაბამიდან კეთილშობილური იდეა ედო საფუძვლად: მშვიდობა ხალხთა შორის, მეგობრობა და ძმობა ხალხთა შორის. ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების დახურვისას ცნობილმა სპორტსმენმა ემილ ზატოპეკმა მიტინგზე განაცხადა: „ჩვენ, მსოფლიოს სპორტსმენებს ერთი მიზანი გვამოქმედებს: განუხრელად ვზარდოთ შედეგები, დავიპყროთ ის მიუვალი სპორტული მწვერვალები, რომლებიც ჯერ კიდევ ქედუხრელნი არიან. ამას კი მივაღწევთ მაშინ, როდესაც, ქვეყანაზე იქნება მშვიდობა, როდესაც ადამიანები სამუდამოდ დაივიწყებენ ომის საშინელებას და მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფერხულში იქნებიან ჩაბმულნი. მოგიწოდებთ ყველას იბრძოლოთ მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემისათვის“.

სამწუხაროდ, ოლიმპიური წლის მიწურულში მშვიდობა დაირღვა. ინგლისის, საფრანგეთის, ისრაელის მადაგახსნილმა კოლონიზატორებმა აგრესია მოაწყეს ეგვიპტეზე, რომელიც იცავს თავის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს. სწორედ ამ ვერაგული თავდასხმის ბრალია, რომ ეგვიპტე ვერ მონაწილეობს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში. მაგრამ კოლონიზატორების სისხლიან საქმეებს საკადრის პასუხს აძლევს პროგრესული მსოფლიო. კიდით კიდემდე გაისმის მრისხანე პროტესტის ხმა: ხელები შორს ეგვიპტისაგან!

ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კავშირის გუნდმა, რომელიც პირველად მონაწილეობდა, დიდ წარმატებას მიაღწია. — მრავალი ოქროს და ვერცხლის მედალი ჩამოიტანეს სამშობლოში. საბჭოთა სპორტის ღირსება დაიცვეს და თამაშების ჩემპიონის სახელიც დაიმსახურეს დ. ციმაკურიძემ, მ. ჯუღელმა, გ. შარაბიძემ, ა. მეკოკიშვილმა. წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ნ. დვალიშვილი, ლ. სანაძე, ნ. დუმბაძე და სხვები.

მიმდინარე ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში 10 სპორტსმენია საქართველოდან. ამ დღეებში ტაშკენტიდან (სადაც საბჭოთა გუნდი გადიოდა წვრთნას) მივიღეთ წერილი, თავისუფალ მოჭიდავეთა გუნდის მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ციმაკურიძე გვწერს, რომ ყოველი ჩვენგანი ენერგიის დაუზოგავად ვიბრძოლებთ, რათა ვასახელოთ დიდი სამშობლო — საბჭოთა კავშირი.

22 ნოემბერს აგიზგიზდება ოლიმპიური კოცონი. 22 ნოემბერს რადიო გადმოგვცემს ასპარეზობის პირველ ცნობებს. ვუსურვოთ თამაშების მონაწილეებს წარმატება, ახალი რეკორდები, ოქროს მედლები!

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 25 ნოემბერს



დაე, ვაჟკაცთა ჟიჟილმა
შეაზარზაცოს სამყარო,
ძალით, სილაღით, მხნეობით,
გამარჯვებებით გვახაროს.

დაე, შუქმა ამ ჩირაღდნის
ძმობის ათას მზედ იელვოს,
დაგმშვენდეს ოქროს
მედალი
ძლიერთა შორის ძლიერო!

მსოფლიოს სპორტი
ზეიმობს,
ხალისი გვავსებს ულევი.
— მშვიდობა ხალხებს! —
გუგუნებს
მილიონების გულები.

## ფესტივალს მიუძღვნეს

### მოსწავლეთა შორის

ამ დღეებში გურჯაანში მოეწყო ფესტივალისადმი მიძღვნილი რაიონის სკოლების მოსწავლეთა ასპარეზობა მძლეოსნობაში. შეჯიბრება ჩატარდა 100 მეტრზე რბენაში, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომებში, ბადროს ტყორცნაში. მძლეოსნობის ყველა სახეობით პირველი ადგილი დაიკავეს ახაშნის საშუალო სკოლის სპორტსმენებმა, მეორე — სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, შვიდწლიან სკოლებს შორის პირველ ადგილზეა კოლაგის სკოლის მძლეოსანთა კოლექტივი, მეორეზე — ჭანდრის.

ი. ოდიშელიძე.

### მეგობართა შეხვედრა

რამდენიმე დღეს თბილისში სტუმრად იმყოფებოდნენ ბაქოს ინდუსტრიალური ინსტიტუტის სტუდენტი მაგიდის ჩოგბურთელები.

სტუმრები გაეცნენ ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ეწვივნენ კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებს. მეგობრებს შორის გაიმართა ამხანაგური შეხვედრა მაგიდის ჩოგბურთში, ბაქოელებმა დიდი მონდომებით ჩაატარეს ასპარეზობა და მოიპოვეს ძნელი გამარჯვება ანგარიშით 5:4.

ამ გუნდების განმეორებით შეხვედრაში მასპინძლებმა შეძლეს რევანშის აღება — 8:5.

## ჭადრაკი დნეპროპეტროვსკიდან

### გათამაშება დაიწყო

დნეპროპეტროვსკის საზოგადოებრიობა მხურვალედ შეხვდა მათ ქალაქში საბჭოთა კავშირის ქალთა XVIII ჩემპიონატის ჩატარების ამბავს. ტურნირის მონაწილენი საერთო ყურადღებით სარგებლობენ. განსაკუთრებული სიმპათია ახალგაზრდა მოჭადრაკეების ნონა გაფრინდაშვილის, ნატალია კონოტისა, ტატიანა ზატულოვსკაიასა და მანანა ტოგონიძის მიმართაა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს მსოფლიო ჩემპიონმა ო. რუბცოვამ და მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ე. ბიკოვამ, ჩემპიონის ოქროს მედლისათვის ბრძოლა მაინც დაძაბული იქნება.

15 ნოემბერს საღამოს მოეწყო ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. მისასალმებელი სიტყვებისა და მთავარი მსაჯის ნ. ტომსონის განცხადების შემდეგ მოეწყო წილისყრა. სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

1. საერთაშორისო ოსტატი ლ. ვოლპერტი (ლენინგრადი), 2. ტ. კრიუკოვა (კიევი), 3. ვ. ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი), 4. ზ. გორინა (სვერდლოვსკი), 5. სპორტის ოსტატი ნ. ვოიცეკი (მოსკოვი), 6. ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), 7. რ. ესტერკინა (ლენინგრადი), 8. მ. ტოგონიძე (თბილისი), 9. ნ. მატვეევა (მოსკოვი), 10. ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი), 11. საერთაშორისო ოსტატი კ. ზვორიკინა (მინსკი), 12. ნ. კონოტი (მოსკოვი), 13. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ლ. რუდენკო (ლენინგრადი), 14. საერთაშორისო ოსტატი ო. იგნატიევა (მოსკოვი), 15. ო. სემიონოვა (ლენინგრადი), 16. საერთაშორისო ოსტატი ვ. ბორისენკო (სვერდლოვსკი), 17. ო. კაცკოვა (მოსკოვი), 18. ე. კაკაბაძე (თბილისი).

#### პირველი ტური

თავიდანვე საერთო ყურადღება მიიქცია ნონა გაფრინდაშვილის პარტიამ მოსკოველ მატვეევასთან. საქართველოს ნორჩმა ჩემპიონმა, რომელიც შავებით თამაშობდა, გამარჯვებისადმი დიდი ლტოლვა გამოამჟღავნა. იგი ენერგიულად უტევდა მოსკოველის მეფის ფრთას. უკვე 30-ე სვლაზე მან ფარხმალი დააყრევინა მოწინააღმდეგეს, რასაც დარბაზში ტაშის გრიალი მოჰყვა.

მეთოდურად თამაშობდა ზატულოვსკაია რუდენკოს წინააღმდეგ. საერთაშორისო ოსტატმა ვერ დააღწია თავი მძიმე მდგომარეობას და დამარცხდა. საინტერესოდ მიმდინარეობდა კაკაბაძის შეხვედრა ვოლპერტთან, რომელთანაც კალუგაში ამ ჩემპიონატის ნახევარფინალში I-II ადგილები გაიყო. უკეთეს პოზიციაში თბილისელმა მოულოდნელად მოწინააღმდეგის შეთავაზებული ყაიმი მიიღო. ასეთივე შედეგით დამთავრდა მოსკოველ კაცკოვას პარტია კიეველ კრიუკოვასთან, რომელსაც ადრე საზოგადოებრიობა იცნობდა მახინის გვარით.

ტოგონიძე-ზვორიკინის, ესტერკინაკონოტის, ვოიცეკ-იგნატიევას, გორინა-სემიონოვასა და ტიხომიროვაბორისენკოს პარტიები გადადებულია.

ვ. ქარსელაძე,
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.

## ფიზკულტურის კომიტეტში

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა წყალბურთში — ა. გოიაშვილს (თბილისი „დინამო“), თავისუფალ ჭიდაობაში — ზ. მჭედლიშვილს (თბილისი „დინამო“).

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა სიმძიმეების აწევაში — ა. არუთინიანს (სოხუმი, „ბურევესტნიკი“), მძლეოსნობაში — ო. ელიაშვილს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“), ველოსპორტში — მ. კირაკოსიანს (ბათუმი „დინამო“).

# ოლიმპიური ოლიმპიური ოლიმპიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უძლიერესთა შორის უძლიერესნი

ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდი ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადებოდა ტაშკენტში. აქვე ჩატარდა გუნდის საბოლოოდ შესარჩევი შეჯიბრება, რომელზეც საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა კვლავ უჩვენეს XV ოლიმპიური თამაშებისა და 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონებისათვის შესაფერისი მაღალი სპორტული შედეგები. ტანვარჯიშულ მრავალჭიდში პირველ ადგილზე გამოსულმა ვ. ჩუკარინმა 115,8 ქულა აჩვენა, ვ. პარტნოიმ — 115,3; ვ. მურატოვმა—115,2; ი. ტიტოვმა — 115,15, ხოლო ბ. შახლინმა — 114,75. გუნდის ჩათვლაში ტანმოვარჯიშეთა რიცხვის ასეთი მაღალი და მჭიდრო შედეგები ცხადყოფენ, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ამჟამადაც პირველობის ერთერთი უძლიერესი პრეტენდენტები არიან. მაგრამ, როგორც სხვადასხვა ქვეყნის გუნდების მზადების, საერთაშორისო შეხვედრების და შესარჩევი შეჯიბრებების ანალიზი გვიჩვენებს, ამჯერად ბრძოლა პირველობისათვის განსაკუთრებით დაძაბული იქნება. აი რას წერს ამის შესახებ ერთერთი შვეიცარიული სპორტული გაზეთი: „წინასწარი განაცხადები სპორტულ ტანვარჯიშში ოლიმპიურ თამაშებში გვიჩვენებს, რომ მელბურნში არაჩვეულებრივად დაძაბული ბრძოლა იქნება. რუსი ტანმოვარჯიშეები „დაეუფლებიან" ოლიმპიური მედლების უმრავლესობას. ამასთან ერთად შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ბევრი ქვეყანა ეცდება შეეცილოს რუსებს. ასეთი ქვეყნების რიცხვში, ცხადია, იქნებიან შვეიცარია, იაპონია, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი და... ამერიკის შეერთებული შტატებიც კი, რამდენადაც საოცრად არ უნდა გვეჩვენოს ეს".

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იაპონიის გუნდის მეორე შესარჩევი შეჯიბრება, რომელიც როგორც უცხოეთის პრესა აღნიშნავს, მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა. მაღალ შედეგებს მიაღწია ი. ონომ — 116,7, მ. ტაკემოტომ — 116,55, ა. კონომ — 113,9. დანარჩენი შედეგებიდან მეშვიდე იყო — 112,55, ხოლო მეთოთხმეტე — 110,9 ქულა. ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა ავადმყოფობის გამო იაპონიის ერთერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე კანეკო და სტუდენტთა ჩემპიონი სახაკი, შეიძლება ვთქვათ, რომ იაპონიას ეყოლება თანაბრად კარგად მომზადებული ძლიერი ვაჟთა გუნდი.

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში არიან გამოჩენილი ტანმოვარჯიშეები. რესპუბლიკის სპორტული ხელმძღვანელები ვარაუდობენ მათ წარმატებით გამოსვლას ოლიმპიურ თამაშებში და მონდომებით ამზადებენ ნაციონალურ გუნდს. გფრ-ს 1956 წლის პირველობაზე მეექვსედ მოიპოვა ჩემპიონის სახელწოდება გ. ბანცმა შედეგით — 114,15, მეორე იყო თ. ვიდი — 112,45, მესამე ადგილზე გამოვიდა იაპონელი ოტა — 112,25, რომელიც სწავლობს დასავლეთ გერმანიის ერთერთ უმაღლეს სასწავლებელში. ოტა მელბურნში იაპონიის გუნდის შემადგენლობაში გამოვა.

1950 წლის მსოფლიო ჩემპიონმა შვეიცარიის ვაჟთა გუნდმა ჩაატარა ბევრი გადასარჩევი და საერთაშორისო შეხვედრა. გუნდის შემადგენლობაში იქნებიან სახელგანთქმული ტანმოვარჯიშეები. უკანასკნელ წლებში ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშეებმა მნიშვნელოვნად აიმაღლეს სპორტული ოსტატობა. მათ შორის უძლიერესნი არიან დანიში და შკვორი. ჩეხოსლოვაკიის და შვეიცარიის ნაციონალური გუნდების შეჯიბრება, რომელიც პრაღაში ჩატარდა, დამთავრდა ჩეხოსლოვაკელთა გამარჯვებით — 672,45:667,10. პირად შეჯიბრებაში პირველი იყო დანიში — 113,4, მეორე შვეიცარიელი გიუნჰარტი — 113,15. ამ მარცხს შვეიცარიელი სპორტსმენები იმით ხსნიან, რომ გუნდში არ იყვნენ მათი წამყვანი სპორტსმენები ი. შტალდერი და ო. ბიულლერი.

გასულ ოლიმპიურ თამაშებში ამერიკის შეერთებული შტატების ტანმოვარჯიშეები დაბალი შედეგებით გამოვიდნენ. ეს მარცხი გაითვალისწინეს და ამიტომ თავიანთი გუნდის მოსამზადებლად გერმანიიდან და შვეიცარიიდან მოიწვიეს გამოცდილი მწვრთნელები. გარდა ამისა, აშშ-ს მიწვევით დასავლეთ გერმანიის, შვეციის და შვეიცარიის უძლიერესმა ტანმოვარჯიშეებმა ჩაატარეს ამერიკელ სპორტსმენებთან ერთობლივი წვრთნა და გამართეს მთელი რიგი საჩვენებელი გამოსვლები სხვადასხვა ქალაქში. რამაც უთუოდ ხელი შეუწყო იმას, რომ ამერიკის პირველობაზე მონაწილეობის სურვილი განაცხადა 265 სპორტსმენმა. შვეიცარიული ჟურნალი „შვეიცარიშე ტურნცეიტუნგი", უკეთებს რა კომენტარს ამერიკელი ტანმოვარჯიშეების მიღწევებს, წერს: „თუმცა აშშ-ს ტანმოვარჯიშეები დიდ საფრთხეს არ წარმოადგენენ შვეიცარიის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის და მით უმეტეს საბჭოთა კავშირის და იაპონიის ტანმოვარჯიშეებისათვის, მაგრამ აუცილებელია ვაღიაროთ ამერიკელი ტანმოვარჯიშეების ოსტატობის უეჭველი ზრდა". ჟურნალი აღნიშნავს აგრეთვე, რომ აშშ-ს XVI ოლიმპიურ თამაშებზე ეყოლება ყველაზე ახალგაზრდა გუნდი.

რამდენიმე ხნის წინათ პარიზში ჩატარდა შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობდა ბევრი ქვეყნის ტანმოვარჯიშე (საბჭოთა კავშირი არ მონაწილეობდა). პირველი ადგილი დაიკავა ესპანელმა ხოაკინ ბლიუმემ. უცხოეთის პრესის აზრით ბლიუმე არის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის ერთერთი უძლიერესი პრეტენდენტი.

მელბურნში არანაკლებ საინტერესო იქნება ქალთა შეჯიბრება. საბჭოთა კავშირის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები: ლ. ლატინინა, ს. მურატოვა, თ. მანინა, ლ. ეგოროვა, ლ. კალინინა, პ. ასტახოვა და სხვები. დემოკრატიულ ქვეყნებიდან შესანიშნავად მომზადებულ გუნდს გამოიყვანს ჩეხოსლოვაკია.

კარგი მომზადება გამოამჟღავნეს პოლონელმა ქალებმაც. ისინიც, როგორც ჩეხოსლოვაკიელები, ყურადღებას ამახვილებენ თავისუფალ ვარჯიშზე რგოლებით. პოლონეთიდან საპრიზო ადგილის პრეტენდენტია ე. რაკოჩი, რომელმაც რუმინეთის გუნდთან შეხვედრაში ნაჩვენები მაღალი შედეგებისათვის ჯილდოდ მიიღო საპატიო ოქროს ჯვარი. ასევე წარმატებით გამოვა მელბურნში ბულგარეთის გუნდი, რომელმაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ჩეხოსლოვაკიის და უნგრეთის ძლიერ გუნდებზე.

**გ. ჭილაია**



## უნგრეთის დელეგაცია ჩავიდა ავსტრალიაში, ფ. პუშკაშის განცხადება

მძიმე დღეების მიუხედავად, სახალხო უნგრეთის სპორტსმენებმა მაინც მოახერხეს გამგზავრებულიყვნენ მელბურნში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად.

ეს შესაძლებელი გახდა უპირველეს ყოვლისა სოციალისტური ბანაკის სხვა სახელმწიფოთა ძმური დახმარების შედეგად.

უნგრეთის დელეგაცია, რომელშიაც შედიოდა 154 კაცი, 3 ნოემბერს პრაღიდან უნდა გამგზავრებულიყო მელბურნისაკენ ფრანგული ავიაკომპანია „ეირ ფრანსის" თვითმფრინავებით. მაგრამ უნგრეთში მომხდარმა ამბებმა გაართულა გამგზავრების საქმე. ავიაკომპანიამ უარი განაცხადა სპორტსმენთა გადაზიდვაზე იმ მოტივით, რომ მას არა აქვს გარანტია გადაყვანის ღირებულების ანაზღაურებაზე.

უნგრელ სპორტსმენთა ჩასვლა მელბურნში, ე. ი. მათი მონაწილეობა თამაშებში, მეტად პრობლემატურ საკითხად იქცა. მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი გამონახულ იქნა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტებმა განაცხადეს თავისთავზე აიღონ უნგრეთის დელეგაციის პრაღიდან მელბურნში გასამგზავრებელი ხარჯები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებში დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული, რათა უნგრეთისათვის შეეგროვებინათ ფული და პროდუქტები.

ამ კეთილშობილური, ძმური დახმარების შედეგად უნგრელ სპორტსმენებს საშუალება მიეცათ ჩასულიყვნენ მელბურნში.

უნგრეთის ამბებთან დაკავშირებით ბურჟუაზიულ გაზეთებში ბოლო ხანებში ვრცელი ადგილი დაეთმო სხვადასხვა ხასიათის ჭორსა და შეთითხნილ ცილისწამებას. დასავლეთ გერმანიის ჟურნალისტები იმ ზომამდეც კი მივიდნენ რომ ნეკროლოგები მიუძღვნეს უნგრეთის ეროვნული ნაკრები გუნდის კაპიტანს, ცნობილ ფეხბურთელს ფ. პუშკაშს, რომელიც სრულიად საღი და ჯანმრთელი იყო. ფრანკფურტის (გფრ) გაზეთმა „აბენდპოსტმა" თავის მხრივ განაცხადა, რომ უნგრეთის უძლიერესი გუნდის „ჰონვედის" ფეხბურთელები, რომლებიც ამჟამად ტურნეს ატარებენ საზღვარგარეთ, უარს აცხადებენ სამშობლოში დაბრუნებაზე.

მაგრამ უნგრელმა ფეხბურთელებმა კატეგორიულად უარყვეს ეს ცილისწამება. უნგრეთის სახალხო არმიის „ჰონვედის" სპორტსაზოგადოების გენერალურმა მდივანმა ესტერეიჰერმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ყველა უნგრელი სპორტსმენი დაბრუნდება უნგრეთში, რომ არ არის მიზეზები, რომლებსაც შეეძლოთ აიძულონ უნგრელი სპორტსმენები გაჰყიდონ თავისი სამშობლო.

ესტერეიჰერმა შემდეგ განაცხადა, რომ „ჰონვედის" ყველა წევრი კარგად გრძნობს თავს და მთელი კოლექტივი დაბრუნდება ბუდაპეშტში გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და მადრიდში ჩატარებული მატჩების შემდეგ.

7 ნოემბერს „ჰონვედი" ესენში (გფრ) შეხვდა ორი კლუბისაგან შემდგარ ძლიერ ნაკრებ გუნდს. მატჩის დაწყების წინ ფ. პუშკაშმა განაცხადა, რომ თავის მოვალეობათა შესრულების შემდეგ გუნდი დაბრუნდება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

„ჩვენ არ დავთმობთ იმას, რაც ასეთი სიძნელეებით ავაშენეთ თორმეტი წლის მანძილზე", — თქვა პუშკაშმა.

## ოლიმპიური ამბები

☆ ავსტრალიასა და მის საზღვრებს გარეთ უკვე გაყიდულია თამაშებზე დასასწრები ყველა ბილეთი. მარტო აშშ-ში, ინგლისსა და ახალ ზელანდიაში ბილეთები შეიძინა 14.500 სპორტის მოყვარულმა.

☆ 10 ნოემბერს მელბურნის ახლო ჩატარდა მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ თამაშებზე ჩამოსული სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. ერთ მილზე (1609 მ) გაიმარჯვა ავსტრალიელმა მ. ლინკოლნმა. ახალზელანდიელი მ. ჰოლბერგი გამარჯვებულს თითქმის 20 მეტრით ჩამორჩა. ცნობილი ნორვეგიელი მორბენალი ა. ბოისენი პირველი იყო 880 იარდზე — 1.54,2.

☆ 5 ნოემბერს მელბურნში ჩავიდა საბჭოთა სპორტული დელეგაციის პირველი ჯგუფი. აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ ჟურნალისტები, ფოტოკორესპონდენტები, ქალაქის მცხოვრებნი, თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები გენერალ-ლეიტენანტ ბრიჯფორდის მეთაურობით. აეროდრომიდან ჩვენი სპორტსმენები გაემართნენ ოლიმპიურ სოფელში, რომელიც 29 ოქტომბერს გაიხსნა. საღამოს გაზეთმა „ჰეროლდმა" პირველ გვერდზე მოათავსა ვრცელი ინფორმაცია სათაურით „რუსი ბუმბერაზები ჩამოვიდნენ მელბურნში". ოლიმპიურ სოფელში აღიმართა საბჭოთა დროშა.

☆ საბჭოთა ოლიმპიურმა გუნდმა კალათბურთში მელბურნში ჩასვლის პირველსავე დღეებში ჩაატარა ამხანაგური შეხვედრა ავსტრალიის ერთერთ საკლუბო გუნდთან. გაიმარჯვეს ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა — 117.51.

☆ 2 ნოემბერს საბერძნეთში, ოლიმპის მთაზე აინთო 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანი. ამჯერად იგი მელბურნისაკენ წაიღეს. ქ. დარვინიდან ავსტრალიის რეაქტიულმა ყუმბარმშენმა „კანბერამ" ოლიმპიური ცეცხლი ჩაიტანა ავსტრალიის ქალაქ კერნსში. აქედან მორბენლებს 22 ნოემბერს ჩირაღდანი მიიტანენ მელბურნში.

## უკანასკნელი სწარფები

მსოფლიოს რეკორდსმენმა ბადროს ტყორცნაში ამერიკელმა ფ. გორდიენმა ბადრო ტყორცნა 59 მეტრსა და 43 სანტიმეტრზე, მაგრამ ეს შესანიშნავი შედეგი ახალ მსოფლიო რეკორდად არ იქნა მიჩნეული იმის გამო, რომ იგი ნაჩვენები იქნა წვრთნის დროს.

წვრთნას გადიან საბჭოთა სპორტსმენებიც. როგორც იტყობინებიან, ი. კაშკაროვმა აიღო 2 მ 10 სმ სიმაღლე. ასეთი შედეგი ავსტრალიაში ჯერ არავის არ უჩვენებია.

### ოლიმპიური სპორტსმენები საქართველოდან



რ. ძნელაძე



ბ. ნიკიტინი



მ. ცალქალამანიძე

# სად, როგორ და რა პირობებში

# ჩატარდება მელბურნის ოლიმპიადა

ოლიმპიური სპორტსმენები საქართველოდან

ოლიმპიური თამაშების საზეიმო
ხსნა, ოფიციალური ცერემონიალი
ა ოლიმპის მთიდან ჩამოტანილი
ოლიმპიური ცეცხლის ანთება მოხ-
ება 1956 წლის 22 ნოემბერს მთა-
რ ოლიმპიურ სტადიონზე.

შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ
სახეობებში დაიწყება 23 ნოემბერს
ა გასტანს 8 დეკემბრამდე.

შეჯიბრებებში სახელმწიფოებს შე-
ძლიათ გამოიყვანონ შემდეგი რაო-
ენობის სპორტსმენები:

მძლეოსნობა — სულ 108 კაცი.
კალათბურთი — ვაჟთა ერთი გუნდი,
2 კაცი. კრივი — 10 კაცი, თითო
ოკრივე ყოველ წონით კატეგორია-
ი. კანოე — 21 კაცი (20 ვაჟი, 1 ქა-
ი). ველოსიპედი — 16 კაცი. ფა-
იკაობა — 30 კაცი. ფეხბურთი —
რთი გუნდი, 20 კაცი. ტანვარჯიში
— 7 ვაჟი, 7 ქალი. ბალახის ჰოკეი—
ერთი გუნდი, 18 კაცი. თანამედროვე
ხუთჭიდი — 3 ძირითადი და 1 სათა-
დარიგო მონაწილე. ნიჩბოსნობა —
ულ 31 კაცი. სროლა — სულ 12
მონაწილე. ცურვა, წყალბურთი,
წყალში ხტომა — წყალბურთის გუნ-
ი შედგება 11 მოთამაშისაგან. ცურ-
ის მთელ პროგრამაში შეიძლება 39,
ოლო ხტომებში 12 კაცის გამოყვა-
. სიმძიმეების აწევა — თითო ძა-
ოსანი ყოველ წონით კატეგორია-
, სულ 7 კაცი, სათადარიგოთა გა-
მე. თავისუფალი და კლასიკური
ჭიდაობა — სულ 16 კაცი, თითო მო-
ჭიდავე ყოველ წონით კატეგორია-
. საიალქნო სპორტი — 11 ძირი-
ადი და 5 სათადარიგო მონაწილე.
ოლიმპიური თამაშების მთელი
პროგრამით შეიძლება სულ 397 კა-
ის შეყვანა განაცხადში.

## მძლეოსნობა

შეჯიბრება გასტანს 23 ნოემბრი-
ან 1 დეკემბრამდე ცენტრალურ
ოლიმპიურ სტადიონზე. ვაჟთა შორის
პროგრამაში შეტანილია 24 სახეობა,
ქალთათვის — 9 სახეობა.

ცენტრალური სტადიონი იტევს
00 ათასამდე მაყურებელს. მონაწი-
ლეთათვის ადგილები სპეციალურად
იქნება გამოყოფილი და, გარდა ამი-
, ყოველ სახელმწიფოს ექნება თა-
ვისი გასახდელი როგორც ვაჟთა,
ისე ქალთათვის. მოწყობილია ტექ-
ნიკის უკანასკნელი სიტყვით აღ-
ჭურვილი ფოტოფინიში და სადე-
მონსტრაციო დაფები. სარბენი ბი-
ლიკი თავისი შემადგენლობით შეე-
საბამება ლონდონის ოლიმპიური
სტადიონის ბილიკს, რომელსაც საბ-
ჭოთა მძლეოსნები კარგად იცნობენ.

ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდე-
ბა აგრეთვე ნახევარფინალური და
ფინალური მატჩები ფეხბურთსა და
ბალახის ჰოკეიში. მინდორი ბალახია-
ნი, აბსოლუტურად სწორი, გაზონი
კარგ მდგომარეობაშია. მინდორი
ამ ხანად იმყოფება სპეციალური
მცველისა და კონტროლის ქვეშ.

სტადიონის მახლობლად ვანლაგე-
ბულია საწვრთნელი მოედნები, რომ-
ლებიც მოთავსებულია მწვანით და-
ფარულ მიდამოში. ცენტრალურ
სტადიონზე წვრთნის უფლება არ ექ-
ნება არც ერთ გუნდს. საამისოდ სა-
განგებოდაა გამოყოფილი ადგილე-
ბი ოლიმპიურ პარკში, რომელიც
ცენტრალური სტადიონიდან 2 კმ
მანძილებით იმყოფება. აღსანიშნავია,
რომ საწვრთნელი სტადიონი ძალ-
ზე კეთილმოწყობილია. 1955 წლის
დეკემბერში აქ გაიმართა დიდი სა-
ერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნო-
ბაში.

პარკს გვერდით აკრავს ბოტანიკუ-
რი ბაღი, რომელიც განკუთვნილი
იქნება სპორტსმენთა დასვენებისათ-
ვის.

მოყრცხელების განკარგულებაში
იქნება ფინური, ინგლისური, შვედუ-
რი და ამერიკული ფირმების დამ-
ზადებული იარაღები, რომელთა ხა-
რისხს ჩვენი სპორტსმენები და
მწვრთნელები იცნობენ 1954 წლის



გ. სხირტლაძე



რ. ცირეკიძე



ი. ოსიპოვი

ევროპის პირველობისა და ჰელსინკის
თამაშების მიხედვით. სპორტული
მოწყობილობა და ინვენტარი იქნე-
ბა უკეთესი, ვიდრე ეს იყო ჰელ-
სინკში.

მარათონული რბენის სტარტი იმ-
ყოფება 100 მეტრზე რბენის სტარტ-
ზე. 2½ წრის შემდეგ სპორტსმენები
ტოვებენ სტადიონს და გადიან ას-
ფალტიან გზაზე. მე-4 კილომეტრის
შემდეგ იწყება საკმაოდ გრძელი აღ-
მართი, შემდეგ სწორი გზა მიემარ-
თება დაბურულ ხეივანში.

მძლეოსნობის საერთაშორისო სა-
მოყვარულო ფედერაციის მიერ დამ-
ტკიცებულია საკვალიფიკაციო ნორ-
მები ოლიმპიურ შეჯიბრებაში მონა-
წილეობისათვის.

## კალათბურთი

შეჯიბრება გასტანს 1 დეკემბრამ-
დე, ვინაიდან სპეციალური დარბაზი
კალათბურთისათვის მელბურნში არ
არის, რეკონსტრუირებულია საზაფ-
ხულო საცირკო შენობა. იგი საკ-
მაოდ კომფორტაბელურადაა მოწყო-
ბილი, მაგრამ იტევს მაყურებელთა
მცირე რაოდენობას — დაახლოებით
2 ათას კაცამდე.

კალათბურთელთა წვრთნისათვის
ქალაქის სხვადასხვა რაიონში სპე-
ციალურად გამოყოფილია სხვადასხვა
დარბაზები. გარდა ამისა, გუნდებს
შესაძლებლობა მიეცემათ ივარჯი-
შონ შეჯიბრების ძირითად ბაზაზეც.

საზაფხულო საცირკო აგებულ
იქნა 30 წლის წინათ და მას არა
აქვს დღის განათება, ამიტომ შეჯიბ-
რება იწარმოებს ხელოვნური განა-
თების ქვეშ. იატაკი მაღალხარისხო-
ვანი ხისაგან არის დამზადებული.

## კ რ ი ვ ი

შეჯიბრება იწარმოებს 23 ნოემბ-
რიდან 1 დეკემბრამდე. კრივისათვის
სპეციალურად იქნა აგებული შენობა
5.000-ადგილიანი ტრიბუნებით. იგი
მოწყობილია თანამედროვე დარბაზე-
ბის ტიპის მიხედვით. მოკრივეთათვის,
გარდა ამისა, გამოყოფილია 3 საწვრ-
თნელი დარბაზი ქალაქის ცენტრში.

შეჯიბრება იწარმოებს ერთ რინგ-
ზე, რომელსაც ტრიბუნები აკრავს
ოთხივე კუთხით. რინგი განათებული
იქნება დღის სინათლის ლამპებით.

## ჭ ი დ ა ო ბ ა

შეჯიბრებები ჭიდაობაში გასტანს
28 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე.
ოლიმპიურმა კომიტეტმა საამისოდ
გამოყო „ეგზებიშენ ბილდინგის" გა-
მოფენის შენობა, რომელიც ქალაქის
ცენტრში იმყოფება.

ჭიდაობა იწარმოებს ორ ხალიჩა-
ზე. ყოველ გუნდს იქნება თავისი გა-
სახდელი, აგრეთვე საწვრთნელი ხა-
ლიჩა.

აწონვა იწარმოებს დილით ოლიმ-
პიურ ქალაქში, გარდა მძიმე წონის
მოჭიდავეთათვის, რომლებიც აიწო-
ნებიან შეჯიბრების დაწყებამდე 1 სა-
ათით ადრე. ოლიმპიურ ქალაქში
სპეციალურად ეწყობა შვედური და
თურქული აბანოები. მოჭიდავეთათ-
ვის შეჯიბრებისა და საწვრთნელ ად-
გილებზე გადასაყვანად გამოყოფი-
ლია ავტობუსები.

## ველოსპორტი

შეჯიბრება ჩატარდება 3-დან 7
დეკემბრამდე. ტრეკი მოთავსებულია
ოლიმპიურ პარკში, ხოლო წრიული
ტრასა — ქალაქს გარეთ.

ტრეკის სიგრძე უდრის 333 მეტრს,
სიგანე 7,2 მეტრს. ტრიბუნაზე არის
5.000 დასაჯდომი და 15 ათასი ფეხ-
ზე დასადგომი ადგილი. მთავარი
ტრიბუნის ქვეშ მოთავსებულია გა-
სახდელები, ოთახები მასაჟისათვის,
საშხაპეები, სარემონტო სახელოს-
ნოები.

ტრეკის საფარი ცემენტისაა, ხოლო
საძირკველი — ხის. მოწყობილია
ფოტოფინიში. ყოველი გუნდისათ-
ვის აქ ზუსტი განრიგით გამოყოფი-
ლია საწვრთნელი დრო.

საგზატკეცილო ველორბოლის მარ-
შრუტი მეტად რთული და ძნელია.
წრე შეადგენს 17 კილომეტრს, გასავ-
ლელია სულ 11 წრე. ტრასას აქვს
მრავალი აღმართი და დაღმართი, სა-
დაც განსხვავება სიმაღლეთა შორის
შეადგენს 50-60 მეტრს. აღმართების
დაქანება ზოგან 45 გრადუსამდე აღ-
წევს. გარდა ამისა, ტრასაზე მრავალი
მოსახვევია, რომელთა შორის ზოგი-
ერთი თითქმის სწორ კუთხეს
ქმნის. ასფალტის ზედაპირი სწორია
და არა აქვს დაზიანებული ადგი-
ლები.

## ტანვარჯიში

შეჯიბრება ჩატარდება 3-7 დეკემ-
ბერს. სპეციალურად აგებული შენო-
ბა, რომელსაც გააჩნია ყველა დამხ-
მარე ნაგებობა, იტევს 5.000 მაყურე-
ბელს.

ტანმოვარჯიშეთათვის იარაღები
დამზადებულია შვეიცარიაში ტან-
ვარჯიშის საერთაშორისო ფედერა-
ციის დაკვეთით. ეს იარაღები წარ-
მოადგენს „ალდერისა" და „აზენგ-
ლერდის" ფირმების პროდუქციას.
ტანმოვარჯიშეთათვის ქალაქში გამო-
ყოფილია საწვრთნელი დარბაზები,
სადაც ზუსტად ივივე იარაღებია
დადგმული, როგორც ძირითად დარ-
ბაზში.

## ნიჩბოსნობა

შეჯიბრება ნიჩბოსნობაში იწარ-
მოებს ქ. ბალარატში ტბა ვენდრომ-
ზე 23 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე.
ეს ქალაქი მელბურნიდან 100 კილო-
მეტრის დაცილებით იმყოფება. ტბას
გარშემო აკრავს დაბურული ტყე,
რის გამო მასზე თითქმის არასოდეს
არაა ღელვა ან რაიმე დინება. 15 კი-
ლომეტრის მოშორებით არის მეორე
ტბა — ლერმონტი, რომელიც შესა-
ნიშნავ ადგილს წარმოადგენს წვრთ-
ნისათვის. ვენდრომზე სპეციალური
სამუშაოები იქნა ჩატარებული ფსკე-
რის გასუფთავების მიზნით წყალქვე-
შა მცენარეებისაგან.

შეჯიბრების ადგილზე არის ელინ-
გები, ყოველგვარი მოწყობილობა
და სარემონტო სახელოსნოები. ნიჩ-
ბოსნები იცხოვრებენ იქვე, ტბიდან
1,5 კილომეტრის დაცილებით სპე-
ციალურად აშენებულ სახლებში.
ყოველ 2 მონაწილეს ექნება 1 ოთა-
ხი. მონაწილეებისათვის აქ ივივე პი-
რობები იქნება, რაც მთავარ ოლიმ-
პიურ ქალაქში. ნიჩბოსნობაში შეჯი-
ბრების დამთავრების შემდეგ სპორ-
ტსმენები საცხოვრებლად გადავლენ
მელბურნში. შეჯიბრების გახსნის
დღეს ნიჩბოსნებს სპეციალური
ტრანსპორტით წაიყვანენ მელბურნში
და დააბრუნებენ უკან.

ბალარატი საკურორტო ქალაქია.
შეჯიბრების მონაწილეებმა წვრთნა
თვით ადრე დაიწყეს. მათ განკარგუ-
ლებაში იყო ყოველგვარი ინვენტარი.

## ც უ რ ვ ა

მოცურავეთა შეჯიბრება დანიშნუ-
ლია 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე.
დახურული აუზი, რომელიც 5.500
მაყურებელს იტევს, იმყოფება ოლიმ-
პიურ პარკში. მისი სიგრძე უდრის
50 მეტრს, სიგანე — 20 მეტრს. იგი
მოპირკეთებულია თეთრი ფილით.
აქვეა აუზი ხტომებისათვის, რომ-
ლის ზომებია $20 \times 20$ მ, სიღრმე —
4,19 მ. 10-მეტრიანი რკინის კოშკი
სპეციალურადაა მოპირკეთებული
(აზბესტი, გიფსი, შუშა). ფსკერი
გარკვევით ჩანს მაყურებელთათვის.

როგორც განაცხადა ავსტრალიის
ცურვის ასოციაციის მდივანმა ფი-
ლიპსმა, წყლის ტემპერატურა ზუს-
ტად 23 გრადუსი იქნება და სისტე-
მატურად იწარმოებს კონდენსირე-
ბული ჰაერის მიწოდება სავენტი-
ლაციო დანადგარების საშუალებით.

მატჩები წყალბურთში ჩატარდება
2 დახურულ აუზში, ხოლო ცენტრა-
ლურ აუზში მოეწყობა მხოლოდ ნა-
ხევარფინალები და ფინალი.

## თანამედროვე ხუთჭიდი

შეჯიბრებები იწარმოებს 23-დან
28 ნოემბრამდე. მძლეოსნური კრო-
სისათვის ადგილი შერჩეულია ოლიმ-
პიური ქალაქის მახლობლად. ცურვა
ჩატარდება ოლიმპიურ აუზში, ფარი-
კაობა — გამოფენის შენობაში, სა-
დაც დანიშნულია შეჯიბრებები ჭი-
დაობასა და სიმძიმეების აწევაში.
სროლისათვის ადგილი გამოყოფი-
ლია ვილიამსტონის სასროლეთზე,
ხოლო საცხენოსნო კროსისათვის —
როდმედოუსში.

შეჯიბრების მონაწილეთათვის გა-
მოყოფილია 100 ცხენი, რომლებიც
წვრთნას გადიან უკვე 2 წლის მან-
ძილზე. ყველა ცხენი წმინდა სისხ-
ლისაა. მათ წვრთნიდნენ ავსტრალიის
საუკეთესო ჟოკეები. ტრასა, სადაც
გაიმართება საცხენოსნო კროსი,
ეკუთვნის პოლიციას — აქ წარმოებს
პოლიციელების ცხენების წვრთნა და
ხედნა.

უნაგირების მიღება შეიძლება მხო-
ლოდ ადგილზე — მელბურნში. უნა-
გირების შეზიდვა ავსტრალიაში სას-
ტიკად აკრძალულია. შეიძლება მხო-
ლოდ საკუთარი აღვირით გამოსვლა.

## ფეხბურთი

შეჯიბრება ფეხბურთში იწარმოებს
მთელი ოლიმპიური თამაშების მან-
ძილზე. წინასწარი თამაშები ჩატარ-
დება ოლიმპიურ პარკში, სადაც სტა-
დიონი იტევს 40 ათას მაყურებელს.
ფინალი და ნახევარფინალი, როგორც
ვთქვით, ჩატარდება მთავარ სტადი-
ონზე.

საფეხბურთო მინდორი დაახლოე-
ბით იგივე ხარისხისაა, როგორც
უაიტ-სიტის სტადიონზე (ლონდონი).

## წერილი რედაქციას

საბჭოთა კავშირის თავისუფალ
მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის
მწვრთნელმა სპორტის დამსახურე-
ბულმა ოსტატმა დ. ციმაკურიძემ
მელბურნში გამგზავრების წინ, გვი-
პასუხა რა მისასალმებელ დეპეშა-
ზე, რომელშიც გამოთქმული იყო
ჩვენი კოლექტივის გულითადი
სურვილები, რედაქციას გამოუგ-
ზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

„მივიღეთ თქვენი დეპეშა, რო-
მელშიც გამოთქმულია XVI ოლიმ-
პიურ თამაშებზე ჩვენი მოჭიდავეე-
ბის წარმატების კეთილი სურვი-
ლები. ბიჭები უაღრესად კმაყოფი-
ლი დარჩნენ. მელბურნში მივემ-
გზავრებით მტკიცე რწმენით — გა-
ვამართლოთ პარტიის, მთავრობისა
და ხალხის ნდობა და მზრუნვე-
ლობა საბჭოთა სპორტსმენებზე.

თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა
კავშირის ოლიმპიური გუნდის ძი-
რითად შემადგენლობაში შედის
სამი ქართველი სპორტსმენი: საბ-
ჭოთა კავშირის ჩემპიონები მირიან
ცალქალამანიძე, გოგი სხირტლაძე
და მსოფლიო ჩემპიონი ვახტანგ ბა-
ლავაძე. კლასიკურ ჭიდაობაში საბ-
ჭოთა სპორტის ღირსებას სხვებთან
ერთად დაიცავენ საბჭოთა კავში-
რის ჩემპიონი რომან ძნელაძე და
მსოფლიო ჩემპიონი გივი კარტო-
ზია. ყველა კარგ სპორტულ ფორ-
მაშია და ეჭვი არ არის ბევრს აწ-
მენდინებენ ბეჭებით ხალიჩის
მტვერს მელბურნის სარბიელზე.
ასე ამბობენ — გაზეთ „ლელოს"
მეტი სახალისო სამუშაო უნდა მივ-
ცეთ მკითხველებისთვისო.

გეგმით გათვალისწინებული სა-
წვრთნელი მუშაობა დავამთავრეთ.
ახლა ყველანი გამგზავრების უკა-
ნასკნელი სამზადისით არიან გარ-
თულნი. ზოგი წერილს უგზავნის
თავისი ოჯახის წევრებს, ნათესა-
ვებს, მეგობრებს, ზოგი სპორტულ
ფორმას ირგებს ტანზე და მასზე
მოწიწებით აკერებს საყვარელ ასო-
ებს — სსრკ.

ახლა, როცა ამ წერილს ვწერ,
ღამის 11 საათია. ხვალ დილით, 6
საათსა და 10 წუთზე გავფრინდე-
ბით ტაშკენტიდან და დელის გავ-
ლით ჩავალთ რანგუნში, იქიდან —
სინგაპურით მელბურნში. ვეცდე-
ბით მდიდარი სპორტული დავლა
წამოვიღოთ შორეული ავსტრალიი-
დან.

ნახვამდის.

თქვენი დ. ციმაკურიძე".

# სტუდენტთა საერთაშორისო დღე

მსოფლიოს სტუდენტმა ახალგაზრდობამ ზეიმით აღნიშნა თავისი ტრადიციული დღესასწაული — სტუდენტთა საერთაშორისო დღე და კანონიერი სიამაყის გრძნობით შეაჯამა ხალხთა შორის მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის თავისი ბრძოლის სახელოვანი შედეგები.

მსოფლიო პროგრესული სტუდენტური მოძრაობის წამყვანი ძალაა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი, რომელიც 1946 წელს შეიქმნა. განვლილ პერიოდში იგი გადაიქცა უმსხვილეს საერთაშორისო ორგანიზაციად, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს მილიონობით ახალგაზრდას. სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი დაუღალავად იბრძვის ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის, კაცობრიობის პროგრესისათვის.

სტუდენტთა შორის ძალზე პოპულარულია სპორტი. სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი აქტიურად იბრძვის ახალგაზრდობას შორის სპორტის შემდგომი განვითარებისათვის, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების, სხვადასხვა რასისა და ეროვნების სტუდენტ სპორტსმენთა დაახლოების, მათ შორის უანგარო მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის. სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი სტუდენტთა საზაფხულო და ზამთრის მსოფლიო თამაშების ორგანიზატორია.

თავისი არსებობის მეორე წელსვე სტუდენტთა საერთაშორისო კავშირმა დავოსში მოაწყო სტუდენტთა VII მსოფლიო ზამთრის თამაშები, ხოლო იმავე წელს პარიზში ჩაატარა IX საზაფხულო თამაშები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს 16 ქვეყნის სპორტსმენებმა. მას შემდეგ ეს მასობრივი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები რეგულარულად იმართება. ამ შეჯიბრებებმა ცხადად უჩვენს მთელ მსოფლიოს თუ რა დაუშრეტელია სტუდენტთა სპორტული შესაძლებლობანი, რა მძლავრია საერთაშორისო სტუდენტური სპორტული მოძრაობა.

სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი, იყო რა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალის ერთერთი ორგანიზატორი, აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდობის II საერთაშორისო სპორტული თამაშების ჩატარებაში, ამჟამად მას თავისი დაუღალავი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI ფესტივალის მოწყობაში, რომელიც გაიმართება მოსკოვში.

საბჭოთა სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის მუშაობაში, მაღალ შედეგებს აღწევენ შეჯიბრებებზე. საზღვარგარეთის სპორტულ წრეებში ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის სტუდენტი სპორტსმენების ბ. სპასკის, ა. ვორობიოვის, ნ. დვალიშვილის, გ. კარტოზიასა და სხვათა სახელები.

საბჭოთა სტუდენტები, მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან ერთად, მტკიცედ დგანან მშვიდობის სადარაჯოზე და მრისხანე პროტესტს უცხადებენ აგრესორებს, რომლებიც ცდილობენ თავს მოახვიონ ხალხებს ახალი ომის საშინელება.

# სხვადასხვა

## ფეხმარდი ლორი

ჰოლანდიელმა ფერმერმა, რომელსაც საუკეთესო ცხენი ჰყავდა, განაცხადა, რომ არც ერთ ოთხფეხა ცხოველს არ შეუძლია ჩემს ცხენს გაუსწროსო. თუ სურვილი გაქვთ, სანაძლეო დადეთ და შევეჯიბროთო. ყველასთვის მოულოდნელად ეს გამოწვევა მიიღო ერთმა ფერმერმა:

— ვდებ 1000 გულდენს, რომ ჩემი ლორი გაუსწრებს შენს ცხენს, — უპასუხა მან და თანაც ჩუმად შეუდგა ლორის „წვრთნას“. მან ლორი გადაიყვანა სპეციალურ კვებაზე. როდესაც ლორს ძალიან მოშივდებოდა, ფერმერი ცხენის კუდზე გამოაბამდა ამ ლორის საყვარელ ულუფას — თევზს. შიმშილისაგან გაცოფებული ლორი თავდავიწყებით მისდევდა ცხენს, რომ თევზისთვის როგორმე პირი წაევლო. ეს გრძელდებოდა ყოველდღე და შედეგიც თანდათანობით იზრდებოდა. ლორს საჭმელს აძლევდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ მილს გაირბენდა.

ასეთი წვრთნის შემდეგ, დათქმულ დღეს ფერმერმა თავისი ლორი შეჯიბრებაზე გამოიყვანა. ლორმა გაამართლა პატრონის იმედი, ისარივით გაიჭრა დისტანციაზე და გაუსწრო რბენაში განთქმულ ცხენს. ფინიშზე ლორმა მიიღო მისი საყვარელი ულუფა — თევზი, ხოლო პატრონმა — მოგებული ფული.

## 502 დღე ცხენზე

როგორც ამერიკული ჟურნალი „უიკი“ იუწყება, ამას წინათ ვინმე მისის მეს-ონი უილკინსმა ცხენით იმოგზაურა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ატლანტიკის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე.

მხედარმა 502 დღეში გაიარა 9.500 კილომეტრი. მოგზაურობის პერიოდში მან გადაიხადა დაბადების დღე. მისის უილკინსს შეუსრულდა... 64 წელი.

# ისევ თბილისში

### საუბარი საერთაშორისო გროსმაისტერ ტ. პეტროსიანთან



როდესაც გავიგე, რომ საბჭოთა კავშირის XXIV პირველობის ნახევარფინალი სტალინგრადიდან, სადაც მისი ჩატარება იყო გათვალისწინებული, თბილისში გადმოიტანეს, კმაყოფილებით დავთანხმდი მიმეღო მონაწილეობა.

თბილისი ჩემი მშობლიური ქალაქია, აქ ავიდგი ფეხი როგორც მოჭადრაკემ. კარგად მახსოვს თბილისის პიონერთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტში გატარებული წლები, სადაც გამოცდილი მწვრთნელების დახმარებით ვეუფლებოდი ჭადრაკის თამაშის საიდუმლოებას, ვიბრძოდი მეხუთე, მეოთხე და მესამე თანრიგის მოჭადრაკის სახელისათვის.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ყურადღება, რომელიც ჩემდამი გამოიჩინეს სასახლის ხელმძღვანელებმა, როდესაც პატარამ ადრე დავკარგე დედ-მამა. თბილისთან დაკავშირებულია ჩემი პირველი წარმატებებიც. 1945 წელს მოვიპოვე საქართველოს ჩემპიონის საპატიო წოდება, ხოლო მომდევნო წელს — ლენინგრადში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოსწავლეთა შორის.

1946 წლის შემოდგომაზე თბილისში პირველად ვმონაწილეობდი საკავშირო პირველობის ნახევარფინალში. ათი წლის შემდეგ კვლავ თბილისში ასეთივე ტურნირში ვმონაწილეობ. თუ მაშინ ოსტატობის კანდიდატი შეჯიბრებაში ბოლოდან მეორე ადგილზე ვიყავი, ახლა გროსმაისტერმა ვფიქრობ უკეთ ვითამაშო.

გროსმაისტერმა პეტროსიანმა გაგვიზიარა თავისი შეხედულება თბილისელი მოჭადრაკეების თამაშზე ნახევარფინალში. ძე გამეხარდა როდესაც გავიგე, რომ თბილისში გამოჩნდა ისეთი ნიჭიერი მოჭადრაკე, როგორიც ბუხუტი გურგენიძეა. მას უდავოდ კარგი მომავალი აქვს. ამ ტურნირში გურგენიძეს შეუძლია თავისი თაყვანისმცემლების იმედები გაამართლოს. ალექსანდრე ბუსლაევს უკეთ ვიცნობ. მასთან დავიწყე ჭადრაკის თამაში. მისი ამოცანაა ამ ტურნირში შეასრულოს სპორტის ოსტატის ნორმა. თუმცა უფრო ადვილია ითამაშო შეჯიბრებაში, ვიდრე შეასრულო ნორმა. ბუსლაევმა თუ მოინდომა, შეუძლია გახდეს ოსტატი.

დასასრულ გროსმაისტერმა ტ. პეტროსიანმა განაცხადა, რომ ძნელია იწინასწარმეტყველო თუ ვინ იქნება ის ექვსეული, რომელიც ფინალში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს. ჩემი შეხედულებით მათ გვარებს არ დავასახელებ, ვისაც შეუძლია ფინალში გავიდეს. შეიძლება მოთამაშეთაგან ვინმეს ეწყინოს, რომ თავისი თავი არ დაინახოს ჩემს სიაში. ამიტომ დაე, ყველას ჰქონდეს გამარჯვების იმედი. ამით მონაწილენი არაფერს არ დაკარგავენ, მხოლოდ საჭადრაკო ხელოვნება მოიგებს.

* * *

გუშინ, საღამოს თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში მოხდა საბჭოთა კავშირის XXIV საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალური ტურნირის საზეიმო გახსნა.

წილისყრის შემდეგ მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ: 1. ოსტატი ჰ. კასპარიანი (ერევანი), 2. ა. ბუსლაევი (თბილისი), 3. ოსტატი ვ. ანტოშინი (მოსკოვი), 4. გროსმაისტერი ვ. კორჩნოი (ლენინგრადი), 5. ი. იუხტმანი (მოსკოვი), 6. ოსტატი ბ. გურგენიძე (თბილისი), 7. ვ. შიანოვსკი (ხარკოვი), 8. ს. ხალილბეილი (ბაქო), 9. ოსტატი მ. ტალი (რიგა), 10. ოსტატი ნ. კროგიუსი (მოსკოვის ოლქი), 11. ვ. ჩუკაევი (კაუნასი), 12. ოსტატი ი. კოტკოვი (მოლოტოვი), 13. ოსტატი ლ. პოლუგაევსკი (კუიბიშევი), 14. ოსტატი ა. კობლენცი (რიგა), 15. ე. გუფელდი (კიევი), 16. ოსტატი გ. ზურახოვი (კიევი), 17. ოსტატი ს. ფურმანი (ლენინგრადი), 18. გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი (მოსკოვი), 19. ბ. ვორონკოვი (მოსკოვი), 20. ი. სახაროვი (კიევი).

პირველი ტური შედგება 19 ნოემბერს.

# თასი მოიგო „ლოკომოტივმა“

14 ნოემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ფინალური მატჩი ფეხბურთში საქართველოს თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ლოკომოტივი“ და ბათუმის „დინამო“.

თამაში დაიწყო რკინიგზელთა შეტევით, რომელთა თავდამსხმელები ადვილად გადიოდნენ მოწინააღმდეგის დაცვის ხაზს და სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ მათ კართან. ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა ჰქონდა აგრეთვე დინამოელ შ. კაკაბაძესაც, რომელმაც ხელსაყრელი მდგომარეობიდან სუსტად დაარტყა კარში. მალე ხაზარაძემ ლამაზი დარტყმით პირველი ბურთი გაიტანა, ხოლო ძნელაძემ საჯარიმო დარტყმიდან მოწინააღმდეგე აიძულა მეორედ დაეწყო თამაში მინდვრის ცენტრიდან. „ლოკომოტივს“ ინიციატივა მტკიცედ ეპყრა ხელთ მთელი ტაიმის განმავლობაში.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა რამდენადმე შეასუსტეს თამაში, ხოლო დინამოელებმა, პირიქით, გააძლიერეს იგი. ისინი სულ უფრო-დაუფრო მონდომებით უტევდნენ მასპინძელთა კარს, სადაც რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი შეიქმნა.

21-ე წუთზე ა. მინასიანმა საჯარიმო დარტყმიდან გაქვითა ერთი ბურთი. „ლოკომოტივი“ კვლავ გადავიდა იერიშზე, მაგრამ დინამოელთა მცველები თავგამოდებით იცავდნენ კარს. გონგის წინ ბათუმელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 2:2. დამატებითი დრო თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ მატჩის ბოლო წუთებში „დინამოს“ ერთერთმა მცველმა ხელით დაიჭირა მოწინააღმდეგის თავდამსხმელი თავის საჯარიმო მოედანზე. 11-მეტრიანი საჯარიმო ზუსტად გამოიყენა მახარაძემ — 3:2. თბილისის „ლოკომოტივს“ გადაეცა საქართველოს 1956 წლის თასი ფეხბურთში.

* * *

მორიგ მატჩში საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ გორის „დინამო“ და წყალტუბოს „კოლმეურნე“. პირველ ტაიმში მოწინააღმდეგეთა კარში გატანილ იქნა თითო ბურთი. ეს ანგარიში — 1:1 თამაშის ბოლომდე აღარ შეცვლილა.

ფოთის „ბურევესტნიკმა“ თავის მინდორზე მიიღო „კოლმეურნე“ (მახარაძე). საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

# ჯ. ზანდუკელის ხუთი პირველი ადგილი

თბილისის ველოტრეკზე სამ დღეს გრძელდებოდა ჭაბუკთა პირად-გუნდური საქალაქო პირველობის გათამაშება. შეჯიბრებაზე წარმატება ხვდა წილად სპარტაკელ ჯ. ზანდუკელს, რომელმაც პროგრამის 5 სახეობაში პირველი ადგილები მოიპოვა.

1-კილომეტრიან გიტში ადგილიდან ზანდუკელმა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 1.13,5. გოგონათა გიტი 500 მეტრზე ადგილიდან მოიგო „ბურევესტნიკის“ წარმომადგენელმა ვ. ფომინამ. მან დისტანცია დაფარა 42,3 წამში.

საინტერესო გამოდგა შეჯიბრება სპრინტერულ დისტანციაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი და თბილისის ჩემპიონის წოდება წილად ხვდა ზანდუკელს. მეორე ადგილზე სპარტაკელი გვეტქორი გამოვიდა. მომდევნო ადგილები დაიკავეს მეტრეველმა და ლაროვმა. გოგონათა შორის სპრინტი მოიგო ვ. ფომინამ.

მაღალ სპორტულ შედეგს მიაღწია ზანდუკელმა 4-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაში. მან აქაც პირველი ადგილი დაიკავა შედეგით — 5.29,0. გუნდური რბოლა 3 კილომეტრზე გოგონათა შორის მოიგო თბილისის განათლების განყოფილების კოლექტივმა (ლ. მაილოვა, ზ. ელიზაროვა, ნ. ლუკიანენკო, ც. ოსიპოვა) — 4.06,0. ჭაბუკთა შორის შეჯიბრება ამ დისტანციაზე მოიგო „სპარტაკის“ გუნდმა — ჯ. ზანდუკელი, ყ. გვეტქორი, შ. მაყულაშვილი და გ. გეორქოვი — 5.19,5. მეხუთე გამარჯვება ზანდუკელმა მოიპოვა 50 წრეზე რბოლაში 10 ფინიშით. აქ მეორე ადგილზე გამოვიდა გვეტქორი.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაისაკუთრა „სპარტაკმა“.

**მ. ზუნაშვილი**

# ჭაბუკები რინგზე

დამთავრდა საქართველოს 1956 წლის გუნდური პირველობის გათამაშება ჭაბუკ მოკრივეთა შორის. ასპარეზობაში, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა, მონაწილეობდა 5 კოლექტივი. ესენი იყვნენ „სპარტაკი“, „ბურევესტნიკი“, „პიშჩევიკი“, „დინამო“ და წყალტუბოს ქუთაისის გუნდი.

პირველობა ძლიერად ჩაატარეს „პიშჩევიკის“ ნაკრები კოლექტივის წევრებმა. მათ ანგარიშით 17:14 დაამარცხეს პირველობის მთავარი პრეტენდენტი „დინამო“, ხოლო ბოლო დღეს ქუთაისის ნაკრები — 18:12 და შეჯიბრებაში გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრეს (მწვრთნელი თ. ბერიევი). „პიშჩევიკის“ გუნდის წარმომადგენელთა შორის გამოირჩეოდნენ ა. ზუბეევი (მეორე ქვესაშუალო წონა) და ი. სილაგაძე (პირველი საშუალო წონა).

ასპარეზობა წაუგებლად დაამთავრა აგრეთვე ნიჭიერმა ქუთაისელმა სპორტსმენმა ჯ. კვანტალიანმა (მსუბუქი წონა). მას შესანიშნავი ფიზიკური მონაცემები აქვს. შეიძლება ითქვას, რომ იგი საუკეთესო იყო მთელ შეჯიბრებაზე.

ქების ღირსია აგრეთვე სპარტაკელი გ. მიქაელიანი და ბურევესტნიკელი ნ. ქიქავა.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეებს ახალგაზრდობის სახით ჰყავს საიმედო ცვლა, რომელიც წვრთნისა და გარჯის შედეგად ღირსეულად დაიცავს რესპუბლიკის სპორტულ სახელს საკავშირო სარბიელზე.

**შ. ჭანჭალეიშვილი**

# ფიცარნაგზე

ამ დღეებში „პიშჩევიკის“ სპორტულ დარბაზში ჩატარდა საკლასიფიკაციო შეჯიბრება ძალოსნობაში.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მძიმე წონის ძალოსანმა რ. დათიკაშვილმა („კოლმეურნე“), რომელმაც ატაცში აჩვენა 95 კგ, რაც ახალი რესპუბლიკური რეკორდია. ძველი რეკორდი უდრიდა 92,5 კგ და ასევე მას ეკუთვნოდა. სამჭიდში რ. დათიკაშვილმა დააგროვა 292,5 კგ, რაც 10 კგ ჩამორჩება სპორტის ოსტატის ნორმას. შეჯიბრებაში, რომელშიც 14 სპორტსმენი ღებულობდა მონაწილეობას, ორმა ძალოსანმა ი. კობაშვილმა და გ. კამალოვმა შეასრულა II თანრიგის ნორმატივი.

**შ. ქირია**

# ამხანაგური მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „დინამო“ თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

რედაქტორი ი. უზულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14.

უე 06367